სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი -

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი 17 მარტი, 2016 წელი

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- თეორიული და საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ მასტერკლასების, საჯარო ლექციების და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურს გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, თანამშრომლები და სპეციალისტები.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სანახაობით პროექტებს.

1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.5. უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

_____ ე. მესხია

საქართველო, ბათუმი,
ლუკა ასათიანის ქ.№37
ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95;
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ.www.batu.edu.ge

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი

_____ ი. შარაბიძე

საქართველო, ბათუმი
რუსთაველის ქ.№53
ტელ: +995(422) 27-48-50
ელ. ფოსტა:info@bsma.edu.ge
ვებ.გვ.www.bsma.edu.ge